MA „სლავური ფილოლოგია“

საგნების ანოტაციები

1. სლავური სამყაროს ეთნოპსიქოლინგვისტიკა

კურსის “სლავური სამყაროს ეთნოფსიქოლინგვისტიკა“ მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ეთნოლინგვისტიკის ძირითადი დებულებები, ფსიქო-ლინგვისტიკის ძირითადი მიმართულებები და ფსიქოლინგვისტური ანალიზის მეთოდები; შეუქმნას წარმოდგენა სლავური სამყაროს არაერთგვაროვნების, ენების სისტემური მოწყობის, ენობრივ ერთეულებში ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ასახვის შესახებ. თეორიული ცოდნის მიღების გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოფსიქოლინგვისტური ანალიზის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას.

2. სლავური პარემიოლოგია

კურსის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტებს წარმოდგენა ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კურსი განიხილავს ენას როგორც კულტურის ნაწილს, როგორც კულტუროგენული ინფორმაციის ფიქსაციის, ფორმირების და გადაცემის საშუალებას და მიზნად ისახავს გააცნოს მაგისტრანტებს ეთნოლინგვისტიკის ძირითადი დებულებები პარემიების მასალაზე დაყრდნობით, რომლებიც ნაციონალურ-კულტურული ინფორმაციის მატარებელი ტექსტებია

3. რუსული ენა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში

კურსის მიზანია მისცეს მაგისტრანტებს შესაძლებლობა გაიაზრონ ინფორმატიზაციის ჰუმანიტარული პრობლემები და გამოიყენონ მიღებული ცოდნა ლინგვისტურ მონაცემთა ბაზის ფორმირებისათვის

4. რუსულო ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები

კურსის მიზანია ისეთი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფორმირება, რომელიც დაკავშირებულია რუსულის როგორც უცხო ენის ლინგვისტური ფაქტების განსხვავებულ ხედვასთან, და ენობრივი ფაქტების მათი ფუნქციურ-კომუნიკაციური ღირებულების პოზიციიდან ამორჩევისა და განხილვის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

5. თანამედროვე რუსული ენის აქტიური პროცესები

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს ცოდნა ენის როგორც მუდმივ ცვალებად და ამავდროულად სტაბილური და მყარი ობიექტის შესახებ; ენის განვითარების მიზეზებისა და კანონზომიერების გამოვლინების საფუძველზე დაეხმაროს სტუდენტს ჩაწვდეს ამ განვითარების არსში, სტუდენტებში სალიტერატურო რუსული ენის ნორმების შესახებ მათი ისტორიული განვითარების პროცესში მეცნიერული წარმოდგენების ფორმირებაში.

6. თანამედროვე რუსული ორთოლოგია

კურსის მიზანია ჩამოუყალიბობს მაგისტრანტს წარმოდგენა ენობრივი ნორმის შესახებ, რუსულ ენაში მისი მრავალსახების შესახებ; ენის სხვადასხვადონის ერთეულების ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ, წარმოდგენა ნორმათა სისტემის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია ზოგადად ენის კომუნიკაციური ფუნქციით და კერძოდ ყოველი სამეტყველო აქტის კომუნიკატიურობით.

7. რუსული სამეცნიერო დისკურსი

კურსის მიზანია სტუდენტებთან დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების შემუშავება;

სამეცნიერო შემოქმედების კანონზომიერებათა გაცნობა; კვლევების პერსპექტიული მიმართულებების გაცნობა; სადისერტაციო კვლევის ორგანიზაციისა და ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშვება; მეცნიერული შემოქმედების ტერმინებისა და ცნებების დაუფლება; მეტყველების სამეცნიერო სტილის ფლობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

8. ენობრივი კოდი მწედიაკომუნიკაციაში

კურსის მიზანია მედიაკიმუნიკაციასთან დაკავშირებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევის ფორმირება; მედიაკომუნიკაციის სპეციფიკის, მასმედიის სფეროში სამეტყველო მოღვაწეობის შესახებ ცოდნის ფორმირება; პროფესიულ-პიროვნული ურთიერთობების უნარ-ჩვევების გამომუშავება; პუბლიცისტური სამეტყველო მოღვაწეობის კულტურის დაუფლება; სხვადასხვა ადამიანთან ვერბალური ურთიერთობის მაქსიმალური ეფეკტურობით დამყარების უნარ-ჩვევების გამომუშავება

9. რუსული ბიზნესკომნიკაცია

კურსის მიზანია შეასწავლოს მაგისტრანტებს რუსულ ენაზე საქმიანი კომუნიკაციის ეთიკა და ნორმები; წარმოუდგინოს სისტემატიზირებული მასალა ბიზნესკომუნიკაციის საფუძვლებში;მგააცნოს ტიპიურ ბიზნესიტუაციებში თავის დაჭერის ხელოვნება; გაარკვიოს ბიზნესკომუნილაციის სპეციფიკაში; მისცეს ბიზნესკომუნიკაციის ძირითადი ჟანრების ცოდნა.

10. **უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორია**

უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორიის კანონზომიერებათა გააზრება და შესწავლა; იმ ისტორიული და სოციალური თემატიკის შემცველი ნაწარმოებების შესწავლა , რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე მხატვრული თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში; მისცეს მაგისტრანტებს დისციპლინის ძირითადი პარამეტრების ცოდნა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შესასწავლი მასალა თანამედროვე ლიტერატურათმცოდ-ნეობის უახლესი მეთოდოლოგიური პრინციპების ჭრილში განვიხილოთ, ასევე შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნა და ფლობა, რის გარეშეც ტექსტის გაანალიზება შეუძლებელია. გამოუმუშაოს მაგისტრანტს სწავლების წინა საფეხურზე მიღებული ცოდნის შესაბამისი პროფესიონალიზმით გამოყენების უნარი ზოგადი თუ კონკრეტული ამოცანების გადაჭრისას.

11. **თანამედროვი რუსული ლიტმცოდნეობის შეფასებითი კრიტერიმები**

კურსის მიზანია რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ანალიზი წასრულის ახლანდელთან ურთიერთკავშირში. კარდინალურმა ცვლილებმა გომიწვია ხარისხობრივად ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა, რომელიც თავისუფალია მარქსისტული დოგმებისა დ სტანდარტული კლიშეებისაგან. ისტორიულ-ლიტერატურული მასალის ტრადიციული შეგროვება დღეს ხორციელდება სპეციფიური განწყობის გარეშე, როდესაც ისტორიული და ესთეთური მიდგომა ლიტერატურისადმი ედებოდნენ ერთმანეთს და ფუნქციონრებდნენ განუყრელ ერთიანობაში.

12. **19 საუკუნის რუსული პოეზიის მიმართულებები, მიმდინარეობები, სკოლები და დაჯგუფებები**

კურსის მიზანია 19 ს-ის ლიტერატურული მიმართულებების, მიმდინარეობებისა და სკოლების იდეურ-მხატვრული თავისებურებების ანალიზი იმ შესაბამისი სამუშაო პრინციპებისა და დებულებების განსაზღვრით , რომლებიც ამ სიტყვიერების საფუძველში დევს და რომლების რეკონსტრუიდებიან თვით ნაწარმოების ფაქტურიდან გამომდინარე.

13. **რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა**

კურსის მიზანია ტექსტის თეორიული ანალიზის, მხატვრული ტექსტის ყველა დონეზე ქვეტექსტის სტრუქტურების პოვნის უნარ-ჩვევების გამომუშავება; ავტორისეული ქვეტექსტის სტრუქტურების გარჩევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

14. **რუსული მასობრივი ლიტერატურა**

20 საუკუნის რუსული ლიტერატურის განვითარებაში პრობლემების გააზრება, კერძოდ, მიმართვა ყოფით ცნობიერებას, მიმდინარე მომენტის ენას. რადგან სწორედ ყოფითი ენის მაგალითზე შეუძლება დაინახხო ზოგადად ენის განვითარების ტენდენციები, აჩვენო 20 ს. რუსული მასობრივი ლიტერატურის სპეციფიკა, მისი ჟანრებისა და სტილების ხასიათი. დღევანდელ დღეს, როდესაც მასობრივმა ლიტერატურამ შეძინა ახალი მასშტაბი, იგი იპყრობს როგორც ლიტერატურათმცოდნეების, ასევე სხვა ჰუმანიტარული დისციპლინათა სპეციალისტებების ყურადრებას.

15. **რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი**

კურსის მიზანია წარმოუდგინოს სტუდენტებს უმდიდრესი რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია; გააცნოს ქართულ საზოგადოებრივ და ესთეთურ ცნობიერებაში რუსული კლასიკის ასახვის ძირითადი ასპექტები; იმის წარმოდგენა, თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოს რუსი მწერლები სხდადასხვა ისტორიულ ეტაპებზე, რუსულ კლასიკურ ნაწარმოებებში საქართველოსა და ქართული კულტურის როლის განსაზღვრა; კვლევის ისტორიულ-ფუნქციური მეთოდის საფუძვლების ათვისება რუსულ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების მაგალითზე; 20 საუკნის რუსულ-ქართული ურთიერთობების მრავალგანზომილების, ლიტერატურების ურთიერთგავლენის წარმოდგენა.

16. **სლავური კულტურისა და დამწერლობის სათავეები**

მოცემული კურსი წარმოადგენს სლავისტიკის პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტს და სამივე მოდულის მაგისტრანტებისთვის არის განკუთვნილი. მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი სლავური დამწერლობის საწყისები, კულტურა სლავების დაყოფამდე, ასევე, სლავური ქვეყნების კულტურის განვითარება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე.

კურსის ძირითადი მიზანია სლავური კულტურის, სულიერების, ეთნოფენომენის და ყოველი სლავური ქვეყნის საგანძურის ზოგადი შესწავლა, ასევე, სლავური კულტურის ევროპულ და მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილის მიმოხილვა. მაგისტრანტმა უნდა აითვისოს სლავური კულტურების და ლიტერატურების მრავალფეროვან და მრავალენოვან სამყაროში ორიენტირების უნარი.

17. **რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზის პრინციპები და მეთოდები**

მოცემული კურსის ძირითადი მიზანი – მხატვრული ტექსტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდების და ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლა. მხატვრული ტექსტი, როგორც ერთი მთლიანობა, საუკუნეთა მანძილზე შეისწავლებოდა სხვადასხვაგვარად. მოცემული კურსი წარმოადგენს სლავისტიკის პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტს და სამივე მოდულის მაგისტრანტებისთვის არის განკუთვნილი.

მხატვრული ტექსტის ანალიზი ხელს უწყობს არამარტო ფილოლოგის, არამედ ჰუმანიტარული დარგის ნებისმიერი სპეციალისტის ჩამოყალიბებას, აფართოებს მის თეორიულ თვალსაწიერს, ასევე, კომუნიკაციის საშუალებებს, რამდენადაც ავლენს ადამიანის მრავალი ქმედების და საქციელის მოტივაციას, საზოგადოებასთან და გარემოსთან მის დამოკიდებულებას მხატვრული ლიტერატურის საფუძველზე.

სხვადასხვა ეპოქებში ტექსტისადმი მიდგომა ისტორიულ-ბიოგრაფიული, ისტორიული, ისტორიულ-სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური იყო. კრიტიკული და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებასთან ერთად ტექსტი ხდება ფსიქოანალიზის კუთხით შესწავლის საგანი, მწერლის შემოქმედება შეისწავლება და ფასდება როგორც იდეოლოგიური თვალსაზრისით, ასევე, მისგან სრულიად განყენებულად. XX საუკუნეში წარმოიშვა მრავალი ფილოსოფიური სკოლა, რომლებმაც ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაზე მოახდინეს გავლენა და ტექსტის შესწავლა დაიწყო ეგზისტენციალიზმის, პოსტმოდერნიზმის და სხვა პოზიციებიდან. ყველა ამ მეთოდის შესწავლა სტუდენტისთვის მკვლევარის ანალიტიკური საშუალებების სრული სურათის შექმნის, ერთი და იმავე მოვლენისადმი მიდგომების მრავალფეროვნების შესახებ წარმოდენის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

18. **თანამედროვე პოლონური ლიტერატრის აქტუალური პრობლემები**

თანამედროვე პოლონური ლიტერატურის ისტორიის და განვითარების ტენდენციების შესწავლა (XX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე). კურსი წარმოადგენს სლავისტიკის (კერძოდ, პოლონისტიკის) სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს. საქართველოში, ბოლო წლებში, შეიმჩნება მნიშვნელოვანი ინტერესი დასავლეთსლავური ქვეყნების კულტურის და თანამედროვე ცხოვრებისადმი. ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიული ბედის მსგავსების და პოლონური მდიდარი სიტყვიერების გათვალისწინებით, პოლონური ლიტერატურის შესწავლა მეტად აქტუალურია. პოლონეთის ლიტერატურის ისტორიის (XX ს.-მდე) შესწავლა საბაკალავრო პროგრამით არის გათვალისწინებული. მოცემული კურსის ძირითადი მიზანია პოლონური თანამედროვე ლიტერატურის შესწავლა, გამოჩენილი მწერლების და პოეტების შემოქმედების და ცხოვრების შესწავლა ეპოქის კონტექსტში, ასევე, ძირითადი მიმართულებების, სკოლების და ლიტერატურული დაჯგუფებების, მთლიანად ლიტერატურული პროცესის ანალიზის გაცნობა. მოცემული კურსი განსაკუთრებულია იმით, რომ წარმოადგენს ძირითად კურსს რუსული ლიტერატურის ისტორიის პარალელურად. თანამედროვე ლიტერატურა დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებთან, ამიტომ სწორედ აღნიშნული კურსი თანამედროვე პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირშია.

კურსის ამოცანა: ლიტერატურის ისტორიის კურსი აიგოს ისეთი სახით, რომ კომპაქტურად წარმოადგინოს ლიტერატურული პროცესი ეპოქის კონტექსტში. ამასთან მონაცვლეობით ტარდება მონოგრაფიული ლექციები (კონკრეტული მწერლების შემოქმედების შესახებ) და ეპოქის ლიტერატურული პროცესის შესახებ (მიმართულებები, სკოლები, დაჯგუფებები, ცნობები პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაციები).

19. **პოლონური ენიდან თარგმანის პრაქტიკული კურსი**

მოცემული კურსის მიზანია კურსის “პოლონური ენა” (I, II) გავლით მოპოვებული ცოდნის გაღრმავება და გაფართოება, პოლონური ენიდან თარგმნის პრაქტიკული შესწავლა და უნარების გამომუშავება.

აღნიშნული კურსის ძირითადი ამოცანაა – თანამედროვე მეთოდიკით ენის და თარგმნის მეთოდიკის შესწავლა, რათა მიეცეს მაგისტრანტს პოლონურ ენაზე ურთიერთობის, ლექსიკონით პოლონური პრესის კითხვის, პოლონური ტელევიზიის პროგრამების ყურების საშუალება. კურსი შესაძლოა გახდეს გაცვლითი პროგრამებით პოლონეთში სტაჟირებაზე გამგზავრების საწყისი ეტაპი. საქართველოში პოლონური ენის სწავლა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, განსაკუთრებით, ეს განპირობებულია ქართულ-პოლონური ორასწლიანი კულტურული ურთიერთობებით, რაც ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და სიღრმით. დღეისათვის ამ ურთიერთობებმა შეიძინა სხვა მასშტაბები, რამეთუ პოლონეთი საქართველოსთვის გახდა სტრატეგიული პარტნიორი და პოლონური ენის და კულტურის შესწავლამაც მიიღო განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა. ბოლო

წლებში პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა ფონდები სთავაზობენ ახალგაზრდა სპეციალისტებს 10-თვიან სტიპენდიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში, გამგზავრებისთვის საჭიროა პოლონური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა. ამიტომ აღნიშნულ კურსს გააჩნია გამოყენებითი მნიშვნელობაც.
მოცემულ კურსს გააჩნია გამოყენებითი მნიშვნელობა. ტექსტები მიეწოდება თანმიმდევრობით, სირთულის მიხედვით (ჯერ სახელმძღვანელოებიდან, შემდეგ ჟურნალ-გაზეთებიდან, ბოლოს მხატვრული ლიტერატურიდან მარტივი ტექსტები).

20. **პოლონური ენა 1**

მოცემული კურსის მიზანია კომუნიკაციის საწყის დონეზე პოლონური ენის, პოლონური გრამატიკის საფუძვლების, პოლონური კულტურული და ისტორიული მნიშვნელოვანი მოვლენების, ძირითადი პოლონური ტრადიციების შესწავლა.
აღნიშნული კურსის ძირითადი ამოცანაა – თანამედროვე მეთოდიკით ენის შესწავლა, რათა მიეცეს მაგისტრანტს პოლონურ ენაზე ურთიერთობის, ლექსიკონით პოლონური პრესის კითხვის, პოლონური ტელევიზიის პროგრამების ყურების საშუალება. კურსი შესაძლოა გახდეს გაცვლითი პროგრამებით პოლონეთში სტაჟირებაზე გამგზავრების საწყისი ეტაპი. საქართველოში პოლონური ენის სწავლა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, განსაკუთრებით, ეს განპირობებულია ქართულ-პოლონური ორასწლიანი კულტურული ურთიერთობებით, რაც ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და სიღრმით. დღეისათვის ამ ურთიერთობებმა შეიძინა სხვა მასშტაბები, რამეთუ პოლონეთი საქართველოსთვის გახდა სტრატეგიული პარტნიორი და პოლონური ენის და კულტურის შესწავლამაც მიიღო განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა. ბოლო წლებში პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა ფონდები სთავაზობენ ახალგაზრდა სპეციალისტებს 10-თვიან სტიპენდიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში, გამგზავრებისთვის საჭიროა პოლონური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა. ამიტომ აღნიშნულ კურსს გააჩნია გამოყენებითი მნიშვნელობაც.

21. **პოლონური ენა 2**

მოცემული კურსის მიზანია კომუნიკაციის საწყის დონეზე პოლონური ენის, პოლონური გრამატიკის საფუძვლების, პოლონური კულტურული და ისტორიული მნიშვნელოვანი მოვლენების, ძირითადი პოლონური ტრადიციების შესწავლა.

აღნიშნული კურსის ძირითადი ამოცანაა – თანამედროვე მეთოდიკით ენის შესწავლა, რათა მიეცეს მაგისტრანტს პოლონურ ენაზე ურთიერთობის, ლექსიკონით პოლონური პრესის კითხვის, პოლონური ტელევიზიის პროგრამების ყურების საშუალება. კურსი შესაძლოა გახდეს გაცვლითი პროგრამებით პოლონეთში სტაჟირებაზე გამგზავრების საწყისი ეტაპი. საქართველოში პოლონური ენის სწავლა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, განსაკუთრებით, ეს განპირობებულია ქართულ-პოლონური ორასწლიანი კულტურული ურთიერთობებით, რაც ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და სიღრმით. დღეისათვის ამ ურთიერთობებმა შეიძინა სხვა მასშტაბები, რამეთუ პოლონეთი საქართველოსთვის გახდა სტრატეგიული პარტნიორი და პოლონური ენის და კულტურის შესწავლამაც მიიღო განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა. ბოლო წლებში პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა ფონდები სთავაზობენ ახალგაზრდა სპეციალისტებს 10-თვიან სტიპენდიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში, გამგზავრებისთვის საჭიროა პოლონური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა. ამიტომ აღნიშნულ კურსს გააჩნია გამოყენებითი მნიშვნელობაც.

22. **ქართლ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი**

ქართველი და პოლონელი ხალხების მრავალმხრივი ლიტერატურული და კულტურული კონტაქტების შესწავლა. სპეკკურსი ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირების შესახებ იმიტომ შეირჩა, რომ აღნიშნულ სფეროში დაგროვილია მდიდარი მასალა, რაც განსაზღვრულია ამ ორი ხალხის

ორსაუკუნოვანი კონტაქტით, გარდა ამისა, სტუდენტები ბაკალავრიატში გაივლიან პოლონური ლიტერატურის ისტორიის სავალდებულო კურსს. ეს საგანი წარმოადგენს სლავისტიკის პროგრამის ორგანულ ნაწილს და მაგისტრანტს ამ ორი ხალხის კულტურების და ლიტერატურების კვეთის ტიპოლოგიური განხილვის მრავალფეროვან საშუალებას იძლევა.

უკვე ორი საუკუნეა, რაც ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები წარმოადგენს ორგანიზმს განვითარების თავისი კანონებით. ამიტომ ამ ურთიერთობების მაგალითზე შესაძლოა ორი ხალხის ინტერესთა კვეთის სხვადასხვა ფორმების: ისტორიულ, ტიპოლოგიურ, ეპოქის იდეების, ასევე, უშუალო კონტაქტების და გავლენების დონეზე შესწავლა. ბოლო წლებში საქართველოში დასავლეთსლავური ქვეყნების კულტურის და თანამედროვე ცხოვრებისადმი ინტერესმა მოიმატა. რომელიმე ხალხის ცხოვრების შესახებ წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია მხატვრული ლიტერატურის შესწავლის გარეშე.

კურსის ძირითადი მიზანი: საქართველოს და პოლონეთის ყველა ლიტერატურული ფორმის და, უფრო ფართოდ, კულტურული, პოლიტიკური, მეცნიერული და ისტორიული კავშირების შესწავლა.

კურსის ამოცანა: ლიტერატურის ისტორიის კურსი აიგოს ისეთი სახით, რომ კომპაქტურად წარმოადგინოს ლიტერატურული პროცესი ეპოქის კონტექსტში. ამასთან მონაცვლეობით ტარდება მონოგრაფიული ლექციები (კონკრეტული მწერლების შემოქმედების შესახებ) და ეპოქის ლიტერატურული პროცესის შესახებ (მიმართულებები, სკოლები, დაჯგუფებები, ცნობები პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაციები).

ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ყველა მაგისტრანტს არ მოუსმენია პოლონური ლიტერატურის ისტორიის კურსი (იმ შემთხვევაში, თუ მათ დაამთავრეს სხვა სპეციალობა), ამიტომ მათი მომზადება განსხვავებულია.

23. **პოლონური მხატვრული ლიტერატურის ტექსტების ანალიზური კითხვა**

მოცემული კურსის **მიზანია** კურსის "პოლონური ენა" (I, II) გავლით მოპოვებული ცოდნის გაღრმავება და გაფართოება. მოცემული კურსი წარმოადგენს სლავისტიკის პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტს, რამდენადაც შესასწავლი ქვეყნის კულტურული და ლიტერატურული ორიენტირების, ცხოვრების რეალიების შესახებ საკმაოდ სრული წარმოდგენის, ქვეყანათმცოდნეობის ცოდნის, პოლონეთის შესახებ ცნობების მოძიების უნარის შეძენის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული კურსის ძირითადი ამოცანაა – მაგისტრანტს განუვითაროს თანამედროვე მეთოდიკით ტექსტის ანალიტიკური კითხვის პროცესში სხვადასხვა საკითხების შესახებ მოცულობითი ინფორმაციის შეკრების უნარი.

კურსი შესაძლოა გახდეს გაცვლითი პროგრამებით პოლონეთში სტაჟირებაზე გამგზავრების საწყისი ეტაპი. საქართველოში პოლონური ენის სწავლა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, განსაკუთრებით, ეს განპირობებულია ქართულ-პოლონური ორასწლიანი კულტურული ურთიერთობებით, რაც ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და სიღრმით. დღეისათვის ამ ურთიერთობებმა შეიძინა სხვა მასშტაბები, რამეთუ პოლონეთი საქართველოსთვის გახდა სტრატეგიული პარტნიორი და პოლონური ენის და კულტურის შესწავლამაც მიიღო განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა. ბოლო წლებში პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა ფონდები სთავაზობენ ახალგაზრდა სპეციალისტებს 10-თვიან სტიპენდიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში, გამგზავრებისთვის საჭიროა პოლონური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა. ამიტომ აღნიშნულ კურსს გააჩნია გამოყენებითი მნიშვნელობაც.

24. **მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი**

კურსის მიზანია თავისუფალი ფილოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბება, იმ ფაქტორების გამოყენება, რომლების განაპირობებენ ტექსტის კომენტირებისა და ინტერპრეტაციის ამ და არა ახვა მეთოდიკის გამოყენებას; სტუდენტების პროფესიული და ზოგადკულტურული ერუდიციის გაღრმავება და გაფართოება.

25. **საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტის იურლინგვისტრი ექსპერტიზა**

კურსის მიზანია საგაზეთო ტექსტები იურლინგვისტური ექსპერტიზის მეთოდობისა და პრინციპების ათვისება; ენის სიღრმისეული დონეების მიზანშეწონილი და სრული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ისეთი სამეცნიერო დისციპლინების, როგორიცსს *ტექსტის თეორია, ტექსტის სტილისტიკა, კომუნიკაციიის თეორია, პრაგმატიკა, იურლინგვისტიკა* საფუძველზე ლინგვოკრიმინალისტის უნარ-ჩვევების შეძენა.

26. **რუსული ლინგვისტური მოძღვრებათა ისტოსია**

სასწავლო კურსის მიზანი: მაგისტრის ზოგადლინგვისტური მომზადების გაღრმავება და გაფართოვება. კურსი ატარებს პროპედევტიკულ ხასიათს, რის გამოც მსმენელს შეიძლება ჩამოიყალიბდეს წარმოდგენა ენათმეცნიერებაში მემკვიდრეობითობის შესახებ, მისი განვითარების თავისებული ლოგიკის შესახებ, მის ერთიანობისა და მრავალასპექტუალობის შესახებ.